ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1930 წლის სექტემბრის 1.	№ 16 ვანყოფილება პირველი	ა/კსფსრ სახალ. კომისართა საბჭოს საკმთა მმართველობის მიერ გამოცემული.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

მუხ. 169. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების 30 და 34 მუხლებისა და საქალაქო მიწის რენტის გადახდევინების წესების მე-3 მუხლის შეცვლის შესახებ.

170. მერქანის შედავათიანი პირობებით და უსასყიდლოდ გაცემის მოწესრიგების შესახებ.

171. „საგლეხო მეურნეობებში აღძრული შრომის კონფლიკტის მორიგებით და სასამართლო წესით განხილვის თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. თებერვლის 18-ის დადგენილების მე-12 მუხლის შეცვლის შესახებ.

172. „საკაბეიო სახოგადოებათა წესდებების დამტკიცების წესის თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის იანვრის 16-ის დადგენილების შეცვლისა და დამატების შესახებ.

173. ისეთ დანაშაულთა შესახებ, რისთვისაც სასამართლოს შეუძლიან პენსიისა და დახმარების უფლების ჩამორთმევა.

174. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების დამატების შესახებ.

175. ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ორგანოების რეორგანიზაციის შესახებ

ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში.

176. ა/კსფსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებათა დებულების შეცვლის შესახებ.

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

177. სესხის „ხუთწლედი 4 წლედში“ რეალიზაციის შესახებ.

178. ა/კსფსრ-ში ოლქების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით რაიონების ორგანიზაციის ძირითადი პრინციპების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

179. 1930-31 წელს წიწიბოს (წიფლის ნაყოფი) შეგროვებისა და დამზადების შესახებ.
180. ფოთოლ-თამბაქოს და წეკოს ნედლეულის ყიდვა-გაყიდვის მოწესრიგებისა, 1930 წ. მოსავლის თამბაქოს ვადამდე დამზადებისა და აგრეთვე თამბაქოს ადგილობრივ დარჩენის შემცირების ღონისძიებათა და ფოთოლ-თამბაქოს და წეკოს ნედლეულის ფარულად გაყიდვასთან ბრძოლის ღონისძიებათა გაძლიერების შესახებ.

ინსტრუქცია

181. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ივლისის 3-ის დადგენილებით დამტკიცებული ზრომის საგზაო ბეგარის დებულების შეფარდების წესის შესახებ.

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

169. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების 30 და 34 მუხლებისა და საქალქო მიწის რენტის გადახდევინების წესების მე-3 მუხლის შეცვლის შესახებ.

მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სამხედრო მსახურთა და სამხედრო ვალდებულთა და მათი ოჯახების შეღავათების კოდექსის საფუძველზე, რომელი კოდექსიც დამტკიცებულია სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის აპრილის 23-ს დადგენილებით (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 23 №-ი, მუხ. 252 და 253), ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების შესახებ 1926 წლის აგვისტოს 9-ის თარიღით გამოცემულ დებულებაში (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. 8 №-ი, მუხ. 697) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი:

ა) 30 მუხლის „ზ“ პუნქტი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) ის შენობები, რაც ეკუთვნის ვადიანი (განუწყვეტელი) ან ვადაზევითი სამსახურის მერიგეთა და უმცროს თავმდგომთა შედგენილობის სამხედრო მსახურთ და საშუალო, უფროს და უმაღლეს თავმდგომთა საკადრო შედგენილობის სამხედრო მსახურთ და აგრეთვე ამ სამხედრო მსახურთა ოჯახებს, უკეთუ ეს შენობები უშუალოდ აღნიშნულ პირთ უჭირავთ და ისინი არ ეწევიან ამ შენობის ექსპლოატაციას ბინებად ან ოთახებად გაქირავებით.

ეს შეღავათი ძალაში რჩება იმ საგადასახადო წლის ბოლომდე, როდესაც აღნიშნული სამხედრო მსახურნი დათხოვნილ იქნენ გრძელვადიან შვებულებაში, სათადარიგოდ ან სრულიად სამსახურიდან“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) 34 მუხლს დაემატოს პუნქტი „რ“ შემდეგი შინაარსისა:

„რ) სამხედრო მსახურთა და მათ ოჯახთა საკუთარი ქონება (საოჯახო ნივთები), რაც გადაიზიდება რკინისგზით და წყალსავალი გზით, უკეთუ ამ ქონების გადაზიდვა სწარმოებს სამხედრო სამიმოზიდვო დოკუმენტით,—მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სამხედრო მსახურთა და სამხედრო ვალდებულთა და მათი ოჯახების შეღავათების კოდექსის X კარის თანახმად“.

გ) საქალაქო მიწის რენტის გადახდევინების წესების (დანართი მე-2 ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულებისა, გამოცემული 1927 წლის სექტემბრის 19-ის თარიღით,—ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ. 17 №-ი, მუხ. 202) მე-3 მუხლის „მ“ პუნქტი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მ) რაც არის ვადიანი (განუწყვეტელი) ან ვადაზევითი სამსახურის მერიგეთა და უმცროს თავმდგომთა საკადრო შედგენილობის სამხედრო მსახურთა და საშუალო, უფროს და უმაღლეს თავმდგომთა საკადრო შედგენილობის სამხედრო მსახურთა და აგრეთვე ამ პირთა ოჯახების სარგებლობაში—მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სამხედრო მსახურთა და სამხედრო ვალდებულთა და მათი ოჯახების შეღავათების კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევაში“.

II. წინადადება მიცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობებს ორი კვირის ვადაზე გამოსცენ დადგენილებანი მერიგეთა და თავმდგომთა საკადრო შედგენილობის სამხედრო მსახურთა (გრძელვადიან შვებულებაში დათხოვნილ სამხედრო მსახურთა გარდა) და მათი ოჯახების განთავისუფლების შესახებ:

ა) სატრანსპორტო საშუალებათა გადასახადისაგან — ერთი ცხენისათვის, უკეთუ ცხენი გამოყენებულია მხოლოდ სოოჯახო მეურნეობაში, და ერთი ველოსიპედისათვის;

ბ) ქალაქ ადგილას ოთხფეხი საქონლის გადასახადისაგან—ერთი სული ძსხვილფეხა და სამი სული წვრილფეხა ოთხფეხი საქონლისათვის;

გ) დოკუმენტების ჩაწერის გამოღებისაგან (ჩაწერის გამოსაღები) და

დ) სამკურნალო ადგილას მისულთა გამოსაღებისაგან (საკურორტო გამოსაღები).

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ა. ბეგზადიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930წ. აგვისტოს 18.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 230 №-ში 1930 წ. აგვისტოს 27-ს.

170. მერქანის შეღავათიანი პირობებით და უსასყიდლოდ გაცემის მოწესრიგების შესახებ.

რათა განხორციელებულ იქნეს სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს ა/წ. იანვრის 3-ის დადგენილება (ოქმი № 23, პ. 1) „მერქანის შეღავათიან პირობებით და უსასყიდლოდ გაცემის მოწესრიგების შესახებ“—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობებს:

ა) შეუდგნენ, 1930 წლის ოქტომბრის 1-დან, ადგილობრივი მოსახლეობისათვის მერქანის შეღავათიანი პირობებით მიცემის თანდათანობით შემცირებას იმ ანგარიშით, რომ 1931 წლის ოქტომბრის 1-ისათვის შემცირება მოხდეს 50%-ით და 1932 წლის ოქტომბრის 1-ისათვის დანარჩენი 50%-ით—ტყის გაცემის ინსტრუქციით დადგენილ ნორმებთან შედარებით;

ბ) მერქნის შეღავათიანი პირობებით გაცემის შემცირებასთან დაკავშირებით, 1930-31 წლიდან დაწყებული, გაითვალისწინონ, ხე-ტყის ძირითადი დამმზადებლების (ა/კ. სახალხო მერნ. უმაღ. საბჭო, მიწათმოქმედების სახ. კომისარიატები და ა/კ. რკინის გზა) სპეციალურ განცხადებათა საფუძველზე, თანხა, რაც საჭიროა მოსახლეობის დაკრედიტებისათვის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მეშვეობით, მერქნის შესაძენად შემცირებული ნორმის რაოდენობით;

1932-33 წლიდან დაწყებული, ადგილობრივი მოსახლეობისათვის მერქნის შეღავათიანი პირობებით მიცემა სრულიად უნდა შესწყდეს და ამის ნაცვლად მოსახლეობას უნდა მიეცეს შედავათიანი ფულადი კრედიტი, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მეშვეობით, მერქნის შესაძენად;

გ) შეუდგნენ, 1930 წლის ოქტომბრის 1-დან დაწყებული, საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მერქნის უსასყიდლოდ გაცემის თანდათანობით შემცირებას, იმ ანგარიშით, რომ 1932 წლის ოქტომბრის 1-სათვის მერქნის უსასყიდლოდ გაცემა ამ საჭიროებისათვის სრულიად შესწყდეს და ამის ნაცვლად სწარმოებდეს სახსარის გაცემა საბიუჯეტო წესით;

საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მერქნის უსასყიდლოდ გაცემის შემცირებასთან დაკავშირებით, 1930-31 წლიდან ამ შემცირების ნაცვლად უნდა გაიცეს საბიუჯეტო წესით სახსარი, მერქნის სასყიდლის გადასახდელად, ხე-ტყის იმ გაცემის შემცირებული ნორმის რაოდენობით, რაც სატყეო კოდექსის თანახმად სწარმოებდა;

დ) გაუქმონ შეღავათები მერქნის გაცემის სფეროში, რაც მინიჭებული აქვთ საწარმოთ, დაწესებულებათა და ორგანიზაციათ, რომელნიც მუშათა საბინაო მშენებლობას ანხორციელებენ, და იმ საწარმოთ და პირთ, რომელნიც ტყვიის, თუთიის, კალის, ნიკელის და ალუმინის მოპოებას აწარმოებენ;

ე) შეიტანონ სათანადო ცვლილებანი თავიანთ კანონმდებლობაში.

II. დაევალოს ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატს,—სსრკ-ის სახელმწიფო ბანკის ამიერკავკასიის კონტორასთან, სრულიად საკავშირო სახ.-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამ. საკოლმეურნეო-კოოპერატიული ბანკის ამიერკავკასიის კანტორასთან და სხვა დაინტერესებულ უწყებებთან ერთად,—დადგენოს წესი 1930-31 წლიდან მერქნის შეღავათიანი პირობებით და უსასყიდლოდ გაცემის საქმის დაკრედიტების სისტემის განხორციელებისა სათანადო ინსტრუქციის გამოცემით ერთი თვის ვადაზე.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ა. ბეგზადიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. აგვისტოს 18.
ტფილისი-სასახლე.
გამოქვეყნებულია „ზარია-ვოსტოკა"-ს 227 №-ში 1930 წ. აგვისტოს 24-ს.

---

171. „საგლეხო მეურნეობებში აღძრული შრომის კონფლიქტების მორიგებით და სასამართლო წესით განხილვის თაობაზე" გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. თებერვლის 18-ს დადგენილების მე-12 მუხლის შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„საგლეხო მეურნეობებში აღძრული შრომის კონფლიქტების მორიგებით და სასამართლო წესით განხილვის შესახებ" გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის თებერვლის 18-ის დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. 4 №-ი, მუხ. 43) მე-12 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„12. შრომის სასოფლო-სამეურნეო ინსპექტორის დადგენილება საკონფლიქტო კომისიის გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ საბოლოოა და არ განისაჩივრება".

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ა. ბეგზადიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. აგვისტოს 18.
ტფილისი-სასახლე.
გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 230 №-ში 1930 წ. აგვისტოს 27-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

172. „სააქციო საზოგადოებათა წესდებების დამტკიცების წესის თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის იანვრის 16-ის დადგენილების შეცვლისა და დამატების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„სააქციო საზოგადოებათა წესდებების დამტკიცების წესის შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის იანვრის 16-ის დადგენილებაში (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. 3 №-ი, მუხ. 37) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

I.

1-ლი, მე-2 და მე-5 მუხლები მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 1. იმ საქციო საზოგადოების წესდებას, რომლის გამგეობაც ა/კსფსრ ტერიტორიაზეა და რომელშიაც მონაწილეობას იღებენ ა/კსფსრ სახელმწიფო დაწესებულებანი ან ისეთი საწარმო და ორგანიზაცია, რომლის წესდებაც დამტკიცებულ უნდა იქნეს ა/კსფსრ ორგანოების მიერ, ან და რომელშიაც მონაწილეობას იღებენ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი ორი ან სამი რესპუბლიკის დაწესებულებანი, საწარმონი და ორგანიზაციები, დამტკიცებს ა/კსფსრ ის სახალხო კომისარიატი, რომლის გამგებლობასაც საზოგადოების მოქმედება მიეკუთვნება.

ამავე წესით დამტკიცდება იმ საკრედიტო და სამშენებლო სააქციო საზოგადოების წესდება, რომლის მოქმედების რაიონიც ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი ერთ-ერთი რესპუბლიკის ფარგლებს სცილდება.

შენიშვნა. ა/კსფსრ სახალხო კომისარიატები სააქციო საზოგადოებათა წესდებების იმ ნაწილს, რაც ამ საზოგადოებათა კაპიტალებს შეეხება, დამტკიცებენ ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით“.

„მუხ. 2. იმ სააქციო საზოგადოების წესდებას, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი ერთ-ერთი რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულებანი, საწარმონი და ორგანიზაციები და რომლის გამგეობაც უწყებული რესპუბლიკის ტერიტორიაზეა,—დამტკიცებს სათანადო რესპუბლიკის ის სახალხო კომისარიატი, რომლის გამგებლობასაც საზოგადოების მოქმედების საგანი მიეკუთვნება“.

„მუხ. 5. სააქციო საზოგადოების წესდების დამტკიცების წინ გამოთხოვილ უნდა იქნეს ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს ან ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ეკონომიური საბჭოს— კუთვნილებისამებრ—წინასწარი ნებართვა საზოგადოების დაარსებისათვის.

შუამდგომლობა საზოგადოების დაარსებისათვის ნებართვის მიცემის შესახებ დამფუძნებლების მიერ შეტანილ უნდა იქნეს სათანადო სახალხო კომისარიატში წესდების პროექტთან ერთად; ამ შუამდგომლობას აღნიშნული სახალხო კომისარიატი წარუდგენს თავისი დასკვნითურთ ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს ან სათანადო რესპუბლიკის ეკონომიურ თათბირს.

ზემოხსენებულ შუამდგომლობაში აუცილებლად აღნიშნულ უნდა იქნეს:

ა) დასარსებელი საზოგადოების საფირმო სახელწოდება;

ბ) მისი მოქმედების საგანი;

გ) საწესდებო კაპიტალის რაოდენობა და მისი დაფარვის ვადები;

დ) აქციების პირველდებული ფასი და მათი განაწილების ვარაუდი;

ე) საზოგადოების გამგეობის სამყოფელი ადგილი;

ვ) დამფუძნებელთა სახელწოდება, სათანადო შემთხვევაში მათი მოქალაქეობის აღნიშვნით;

ზ) მომმედი კანონმდებლობის გამონაკლისი, უკეთუ ეს საზოგადოების წესდებით გათვალისწინებულია".

მე-5 მუხლის 1-ლი და მე-2 შენიშვნა ძალაში დარჩეს.

II.

მე-9 მუხლს დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„**შენიშვნა.** პუბლიკაცია სახელმწიფო, შერეული და კოოპერატიული სააქციო საზოგადოების წესდების დამტკიცების შესახებ არ მოხდება. ასეთი საზოგადოებისათვის წესდების დამტკიცების თარიღი სათანადო შემთხვევაში (სსრ კავშირის სააქციო საზოგადოებათა დებულების 22, 28 და 29 მუხლები,—კან. კრ. 1927 წ. 49 №-ი, მუხ. 500) წესდების დამტკიცების პუბლიკაციის თარიღის სამაგიეროა".

III.

მე-3 და მე-4 მუხლი ამოშლილ იქნეს.

IV.

წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს ერთი თვის ვადაზე შეუთანხმონ თავიანთი კანონმდებლობა ამა დადგენილებას.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ეგიაზარიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. აგვისტოს 28.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 239 №-ში 1930 წ. სექტემბრის 5-ს.

173. ისეთ დანაშაულთა შესახებ, რისთვისაც სასამართლოს შეუძლიან პენსიისა და დახმარების უფლების ჩამორთმევა.

სოციალისტური დაზღვევის წესით გასაცემი პენსიებისა ღა დახმარების დებულების დამტკიცების შესახებ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. თებერვლის 13-ის დადგენილების (სსრკ-ის კან. კრ. 1930 წ. 11 №-ი, მუხ. 131) შესაბამისად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I. სოციალური დაზღვევისა და სახელმწიფო უზრუნველყოფის წესით დანიშნული პენსიისა და სოციალური დაზღვევის წესით უმუშევრობის გამო დანიშნული დახმარების უფლების ჩამორთმევა შეიძლება გადაწყვეტილ იქნეს სასამართლოს მიერ:

ა) უკეთუ დამნაშავე მსჯავრდადებულ იქნა ანგარებითი დანაშაულის ჩადენისათვის და მას გადაეწყვიტა თავისუფლების აღკვეთა ერთ წელიწადზე მეტი ვადით ან განდევნა უწყებული ადგილიდან სხვა ადგილას საველდებულო დასახლებით (როგორც სოციალური დაცვის ძირითადი ღონისძიება);

ბ) უკეთუ დამნაშავეს გადაეწყვიტა, როგორც სოციალური დაცვის დამატებითი ღონისძიება, მთელი ქონების კონფისკაცია.

II. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობებს ერთი თვის ვადაზე შეიტანონ თავიანთ კანონმდებლობაში სათანადო ცვლილება, რაც გამომდინარეობს ამა დადგენილებიდან და აგრეთვე სსსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებიდან „ისეთ სახელმწიფო დანაშაულთა შესახებ, რისთვისაც სასამართლოს შეუძლიან პენსიისა და დახმარების უფლების ჩამორთმევა“ (სსრკ-ის კან. კრ. 1930 წ. 31 №-ი, მუხ. 339).

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ეგიაზარიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. აგვისტოს 28.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

174. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების დამატების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. მე-11 მუხლის „გ“ ლიტერს დაემატოს მე-7 პუნქტი შემდეგი შინაარსისა:

„7) ადგილობრივი ორგანოებისა, რომელნიც განაგებენ საგზაო და საავტომობილო საქმეს—ადგილობრივი მნიშვნელობის გზების გამგებლობისა, შენახვისა, რემონტისა და მოწყობის სფეროში“.

2. მე-11 მუხლს დაემატოს მე-6 შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„**შენიშვნა 6.** ადგილობრივი საგზაო ორგანოების შენახვა სახელმწიფო (საერთო-საკავშირო) გზების გამგებლობისა და საავტომობილო საქმის მოწესრიგების ხარჯების სფეროში, „სსრ კავშირის საგზაო მეურნეობისა და საავტომობილო საქმის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების შესაბამისად, მიეკუთვნება საერთო-საკავშირო ბიუჯეტს“.

3. 34 მუხლის „ზ“ პუნქტი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) რკინის გზებისა, წყალსავალი ტრანსპორტისა ან გზატკეცილებისა და ყამირგზების ორგანოების კუთვნილი ტვირთი, რაც დანიშნულია მარტოოდენ რკინის გზებისა, წყალსავალი ტრანსპორტისა ან გზატკეცილებისა და ყამირგზების საექსპლოატაციო საჭიროებისათვის, გარდა იმ ტვირთისა, რასაც ჰგზავნის და იღებს ნარდად მომუშავე“.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ეგიაზარიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. აგვისტოს 28.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 240 №-ში 1930 წ. სექტემბრის 6-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

175. ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ორგანოების რეორგანიზაციის შესახებ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში.

ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, რომელი რეორგანიზაციაც განხორციელებულ იქნა ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის თებერვლის 18-ს-ის დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-4 №-ი, მუხ. 44) თანახმად,—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I. ზოგადი ნაწილი.

1. მიზანშეწონილად იქნეს ცნობილი საქართველოს სსრ-ში, აზერბაიჯანის სსრ-ში და სომხეთის სსრ-ში, ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთა სამმართველოების ნაცვლად, ვაჭრობის სახალხო კომისარიატების მოწყობა.

2. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ვაჭრობის სახალხო კომისარიატები—საერთო-საკავშირო და ფედერატიული შენაერთების ფუნქციების ხაზით—ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულნი არიან.

3. ამა დადგენილების მე-2 მუხლის შესაბამისად, ყველა იმ საქონლისა და პროდუქტების სფეროში, რომლებისთვისაც არსებობენ საერთო-საკავშირო და ფედერატიული სადარგო შენაერთები, რესპუბლიკების ვაჭრობის სახალხო კომისარიატები, სსრკ-ისა და ა/კსფსრ-ის ვაჭრობის სახალხო კომისარიატების დირექტივების თანახმად, საერთო ხელმძღვანელობას, მეთვალყურეობას და კონტროლს გაუწევენ ამ შენაერთების მიერ დირექტივებისა და არსებული წესით დამტკიცებული გეგმების აღსრულებას.

4. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ვაჭრობის სახალხო კომისარიატები წარუდგენენ თავიანთ დასკვნის სახალხო კომისართა საბჭოს, ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს და სათანადო შენაერთებს შემდეგი საკითხების შესახებ: ამა დადგენილების მე-3 მუხლში აღნიშნული საქონლისა და პროდუქტების დამზადებისა, გადამუშავებისა და შენახვის გეგმის შესახებ, ამ საქონლით და პროდუქტებით მომარაგების გეგმისა და კაპიტალური მშენებლობის გეგმის შესახებ და აგრეთვე ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ტერიტორიაზე მომქმედი საერთო-საკავშირო და ფედერატიული შენაერთების მიერ შედგენილი დამზადებისა და გასაღების ფასების პროექტებისა და საკონტროლო ციფრების პროექტების შესახებ.

დანარჩენ შემთხვევაში ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ვაჭრობის სახალხო კომისარიატები მოქმედობენ ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საერთო დირექტივების საფუძველზე.

5. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ვაჭრობის სახალხო კომისარიატები ხელმძღვანელობას უწევენ რესპუბლიკანური მნიშვნელობის იმ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამეურნეო საწარმოთა და ორგანიზაციათა საწარმოო-სავაჭრო მოქმედებას, რომელნიც უშუალოდ საერთო-საკავშირო და ფედერატიულ-სადარგო შენაერთებში არ შედიან; ხოლო საერთო-საკავშირო და ფედერატიულ სადარგო შენაერთებში შემავალი რეპუბლიკანური ორგანიზაციების მოქმედებას რესპუბლიკების ვაჭრობის სახალხო კომისარიატები ხელმძღვანელობას უწევენ სათანადო შენაერთების მეშვეობით.

ადგილობრივი მნიშვნელობის ორგანიზაციების მოქმედებას ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ვაჭრობის სახალხო კომისარიატები ხელმძღვანელობას გაუწევენ სათანადო აღმასრულებელი კომიტეტების სავაჭრო განყოფილებების მეშვეობით ან რესპუბლიკების ვაჭრობის სახალხო კომისარიატების რწმუნებულთა მეშვეობით—ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებში, და აგრეთვე სადარგო შენაერთების მეშვეობით, უკეთუ ადგილობრივი მნიშვნელობის ორგანიზაციები ამ შენაერთების შედგენილობაში შედიან.

II. ძირითადი ამოცანები.

6. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ვაჭრობის სახალხო კომისარიატების ძირითადი ამოცანაა:

ა) მოაწყონ რესპუბლიკანური სადარგო შენაერთები სამეურნეო ანგარიშზე და გადასცენ მათ დაგეგმვისა და უშუალო მოწესრიგების საქმე რესპუბლიკების ვაჭრობის სახალხო კომისარიატების ქვემდებარე საქმიანად მრეწველობის დამზადებისა, მომარაგებისა და გადამუშავების სფეროში;

ბ) ყოველგვარად გამოიყენონ რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის ყველა შესაძლებლობა, ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დირექტივების თანახმად, სასურსათო ბაზისის შექმნისათვის, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის წარმოებისა და მისი საქონლიანობის გაძლიერებით;

გ) მოაწყონ რესპუბლიკების სამრეწველო რაიონების საქმიანად პროდუქტებით და პირადი მოხმარების საგნებით მომარაგება ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებული გეგმის თანახმად;

დ) მონაწილეობა მიიღონ კოლექტიური მეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის საწარმოო გეგმების შემუშავებაში;

ე) შეადგინონ და გაატარონ არსებული წესისამებრ დამტკიცებული გეგმები კონტრაქტაციისა;

ვ) ხელმძღვანელობა გაუწიონ რესპუბლიკანურ სასოფლო-სამეურნეო და სამომხმარებლო კოოპერაციის მოქმედებას სასურსათო და პირადი მოხმარების საგნების დამზადებისა და მომარაგების სფეროში;

ზ) ხელმძღვანელობა გაუწიონ სასურსათო პროდუქტებისა და ფურაჟის სუროგატირებისათვის წარმოებულ მუშაობას;

თ) მოაწყონ გეგმიანი გაცვლა-გამოცვლა ქალაქსა და სოფელს შორის და ხელმძღვანელობა გაუწიონ ამ გაცვლა-გამოცვლას;

ი) განახორციელონ კვების რაციონალიზაცია და საერთო ხელმძღვანელობა გაუწიონ საზოგადოებრივი კვების განვითარების საქმეს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ) ხელმძღვანელობა გაუწიონ საკამადო პროდუქტების შენახვის ორგანიზაციის საქმეს და განსაზღვრონ მათი გადაზიდვის საშუალებანი უახლესი ტეხნიკის საფუძველზე;

ლ) ხელმძღვანელობა გაუწიონ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სისტემის კადრების მომზადებას და შეცსებას.

7. სასოფელო-სამეურნეო და სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემებისათვის ხელმძღვანელობის გაწევას ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ვაჭრობის სახალხო კომისარიატები განახორციელებენ ამ კოოპერატიული სისტემების წესდებების თანახმად.

III. სადარგო შენაერთები.

8. ოპერატიული ხელმძღვანელობის გაწევას ძირითადი საკამადო პროდუქტების დამზადებისა, გადამუშავებისა და შენახვისათვის და აგრეთვე ამ პროდუქტებით მომარაგების საქმისათვის ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ვაჭრობის სახალხო კომისარიატები განახორციელებენ თავისი სადარგო შენაერთებისა და ფედერატიული და საერთო საკავშირო შენაერთების კონტორების მეშვეობით და აგრეთვე სამომხმარებლო, სასოფელო-სამეურნეო და სარეწაო კოოპერაციის სისტემების მეშვეობით.

9. რესპუბლიკანური სადარგო შენაერთები არსებობენ რესპუბლიკების ვაჭრობის სახალხო კომისარიატებთან; მათი უფლება-მოვალეობანი ისეთივეა, როგორც ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სადარგო შენაერთების უფლება-მოვალეობანი.

10. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ვაჭრობის სახალხო კომისარიატების კომპეტენცია თავიანთი სადარგო შენაერთების მიმართ ისეთივეა, როგორც ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა—ფედერატიული სადარგო შენაერთების მიმართ.

IV. რესპუბლიკების ვაჭრობის სახალხო კომისარიატების სტრუქტურა.

11. ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთა სამმართველოების აპარატი საქართველოს სს რესპუბლიკასა, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკასა და სომხეთის სს რესპუბლიკებში გადაკეთებულ იქნეს და უფლება მიეცეს ამ რესპუბლიკების ვაჭრობის სახალხო კომისარიატებს განსაზღვრონ აღნიშნული აპარატის სტრუქტურა ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით და იმ წესით, რაც გათვალისწინებულია „სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოს მოსამსახურეთა სამუშაო ხელფასის სახელმწიფო დანორმვის შესახებ“ გამოცემულ სსრკ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის დეკემბრის 7-ის დადგენილებაში (სსრკ კან. კრ. 1929 წ. 76 №-ი, მუხ. 737).

12. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ვაჭრობის სახალხო კომისარიატების ადგილობრივი ორგანოებია რწმუნებულთა სამმართველოები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებში და აღმასრულებელი კომიტეტების სავაჭრო განყოფილებები.

13. დაევალოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობებს ერთი თვის ვადაზე შეიტანონ თავიანთ კანონმდებლობაში სათანადო ცვლილებანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ა. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ეგიაზარიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. აგვისტოს 28.
ტფილისი-სასახლე.

---

176. ა/კსფსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებათა დებულების შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I. არამიზანშეწონილად იქნეს ცნობილი სახელმწიფო ბიუჯეტში იმ გადასახადებისა, გამოსაღებისა და სხვა შემოსავლის გატარება, რომლის თანხებიც მთლად მიქცეულ უნდა იქნეს ადგილობრივ სახსარში.

II. 1929 წლის სექტემბრის 27-ს თარიღით გამოცემულ დებულებაში ა/კსფსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებათა შესახებ (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. 18 №-ი, მუხ. 166) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი:

1) მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ლიტერი ამოშლილ იქნეს.

2) მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ“ ლიტერი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) სასამართლო ბაჟი და გამოსაღები, აგრეთვე ის გამოსაღები სანოტარო მოქმედებისა და მასთან დაკავშირებული ტეხნიკური მომსახურეობისათვის, რასაც ახდევინებენ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებანი“.

III. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს შეიტანონ ამ რესპუბლიკების კანონმდებლობაში ამა დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი.

IV. დადგენილება ესე შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1930 წლის ოქტომბრის 1-დან.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ეგიაზარიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. აგვისტოს 28.
ტფილისი-სასახლე.

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

177. სესხის—„ხუთწლედი 4 წელიწადში“ რეალიზაციის შესახებ.

სესხის—„ხუთწლედი 4 წელიწადში“ უფრო მეტის წარმატებით რეალიზაციისათვის ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დაარსებულ იქნეს სესხის რეალიზაციის დამხმარე ამიერკავკასიის კომისია შემდეგი შედგენილობით: ამხ.-ნი სტურუა ვ. (თავმჯდომარე), ბეგზადიანი ა. (თავმჯდომარის მოადგილე), ვარძიელი ი. (თავმჯდომარის მოადგილე), ფოლიანი, ანდრეევი, ხუმარიანი ა., იაკუბოვი ს., ლაკტიონოვი, კუზნეცოვი პ. (რომელსაც წესცვლის ამხ. ორჯონიკიძე), პოხდეევი ვ., კაკაბაძე და გიკი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. აგვისტოს 22.
ტფილისი-სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

178. ა/კსფსრ-ში ოლქების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით რაიონების ორგანიზაციის ძირითადი პრინციპების შესახებ.

„ოლქების ლიკვიდაციის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ივლისის 23-ის დადგენილების აღსასრულებლად და ა/კსფსრ-ში ოლქების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით რაიონების ორგანიზაციის თანაბარი პრინციპების დასამყარებლად — ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

ა. რაიონების ქსელი.

1. დამტკიცებულ იქნეს აზერბაიჯანის სსრ მთავრობის დადგენილება დალმამედლის, ალმალის, ქოტურლის, ნიკკის და ჰალდანის რაიონების გაუქმების შესახებ.

2. დამტკიცებულ იქნეს აზერბაიჯანის სსრ მთავრობის დადგენილება ყუბის რაიონის დაარსების შესახებ და ყუბის ოლქში ყუსარისა და რუსტოვის რაიონების გაუქმების შესახებ.

3. მიზანშეწონილად იქნეს ცნობილი ხილლის რაიონის ცენტრის სოფ. ხილლიდან ქალ. სალიანში გადატანა და ამ რაიონისათვის „სალიანის რაიონი“-ს სახელწოდების მიკუთვნება.

4. დამტკიცებულ იქნეს სომხეთის სსრ მთავრობის დადგენილება ყიზილგოჩის, ამამლის, კოსნოსელსკის, გაჯიკალის, ალფართის და რაზდანის რაიონების გაუქმების შესახებ.

5. დადასტურებულ იქნეს სომხეთის სსრ მთავრობის დადგენილება კოტაიისის სარაიონო ცენტრის კანაკირიდან ზაიაში გადატანის შესახებ.

6. დამტკიცებულ იქნეს საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილება ტფილისის გარეთუბნის რაიონის გაუქმებისა და შემდეგი რაიონების გაერთიანების შესახებ: 1) მანგლისისა აღბულახთან, 2) საჩხერისა ჭიათურასთან და 3) აწყურისა ახალციხესთან.

შენიშვნა. სოფ. მანგლისის საკურორტო ზონა გამოყოფილ იქნეს მანგლის-აღბულახის რაიონიდან და გადაიცეს ტფილისის საქალაქო საბჭოს გამგებლობაში.

7. ახლად მოწყობილი რაიონების საზღვრებსა და ცენტრებს დამტკიცებს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მას შემდეგ, რაც მათ ვანინილავს და დაადასტურებს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან ოლქების სალიკვიდაციოდ დაარსებული კომისია.

8. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში ოლქების ლიკვიდაციის დროის განმავლობაში ყველა რაიონი, გარდა ამა დადგენილებაში აღნიშნული რაიონებისა, დარჩება მომქმედ ქსელსა და საზღვრებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ. რაიონების კატეგორიები.

9. დაწესებულ იქნეს შემდეგი დაყოფა რაიონებისა კატეგორიებად მოსახლეობის რაოდენობის ნიშნის მიხედვით:

ა) I კატეგორიას მიეკუთვნება ის რაიონები, სადაც მოსახლეობა 20.000 კაცამდეა;

ბ) II კატეგორიას—ის რაიონები, სადაც მოსახლეობა 20.000-დან 40.000 კაცამდეა;

გ) III კატეგორიას — ის რაიონები, სადაც მოსახლეობა 40.000 კაცზე მეტია.

შენიშვნა 1. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება ეძლევათ უფრო ჩამორჩენილ რაიონებში და-აგრეთვე საზღვართან მდებარე რაიონებში, გადარიცხონ რაიონები ერთი კატეგორიიდან მეორეში როგორც შტატების მხრით, ისე ჯამაგირების განაკვეთების მხრით—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან ოლქების სალიკვიდაციოდ დაარსებული კომისიის დასტურით.

შენიშვნა 2. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებლი კომიტეტები, 5 დღის ვადაზე ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან, წარუდგენენ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს რაიონების საბოლოო სიას (ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების რაიონებითურთ) მათი კატეგორიებისა, საზღვრებისა და ცენტრების აღნიშვნით.

გ. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების სტრუქტურა.

10. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების სტრუქტურა, მიუხედავად რაიონების კატეგორიებისა, დაწესებულ იქნეს შემდეგი სახით:

ა) სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი; ბ) საგეგმო-სასტატისტიკო ნაწილი; გ) განყოფილებანი: საადგილმამულო, საფინანსო, ადგილობრივი მეურნეობისა (მარტოოდენ იმ რაიონებში, სადაც განვითარებული კომუნალური მეურნეობაა), სოციალურ-კულტურული, ადმინისტრატიული და საერთო; დ) მუშათა და გლეხთა ინსპექცია.

შენიშვნა. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი სავაპრო განყოფილებას არ მოაწყობს, ხოლო თაიის შტატში იყოლიებს ვაპრობის ინსპექტორს.

დ. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების შტატი.

11. დაწესებულ იქნეს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების შემდეგი შტატები რაიონების კატეგორიების მიხედვით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

	I-ლი კატ. რაიონები	II კატ. რაიონები	III კატ. რაიონები
თავმჯდომარე	1	1	1
მ დ ი ვ ა ნ ი	1	1	1
საბჭოთა მშენებლობისა და მასსიური მუშაობის ინსტრუქ-ტორი	1	1	1
ქალთა ყოფაცხოვრების _ გამაუმჯობესებლი კომიტეტის მდივანი	1	1	1
	4	4	4
ვაჭრობის ინსპექტორი	1	1	1
	1	1	1

საგეგმო-სასტატისტიკო ნაწილი.

ეკონომისტი-მოგეგმე	1	1	1
სტატისტიკოსი	1	1	1
	2	2	2

საადგილმამულო განყოფილება.

გ ა მ გ ე	1	1	1
აგრონომი	1	1	1
მდივანი-საქმისმწარმოებელი	—	1	1
მიწათმომწყობი	1	1	1
ვეტერინარი-ექიმი ან ზოოტექნიკოსი	1	1	1
	4	5	5

საფინანსო განყოფილება.

გ ა მ გ ე	1	1	1
ფინანსთა ინსპექტორი	1	1	1
ფინანსთა აგენტი	—	1	1
ბუღალტერი	1	1	1
მოთვალთვალე	—	—	1
ადგილობრივი ბიუჯეტის ინსტრუქტორი	1	1	1
სახელმწიფო დაზღვევის ინსტრუქტორი	1	1	1
	5	6	7

ადგილობრივი მეურნეობის განყოფილება.

გ ა მ გ ე	—	—	1
ტექნიკოსი	1	1	1
საგზაო მშენებლობის ტექნიკოსი	—	1	1
	2	2	3

სოციალურ-კულტურული განყოფილება.

გამგე, ოგივე სახალხო განათლების ინსპექტორი	1	1	1
სახალხო განათლებისა და სოციალური აღზრდის ინსპექ-ტორი	1	1	1
ჯანმრთელობის _ ინსპექტორი	1	1	1
წრომის (და სოც. უზრუნველყოფის) ინსპექტორი	1	1	1
	4	4	4

	I კატ. რაიონები	II კატ. რაიონები	III კატ. რაიონები
ადმინისტრატიული განყოფილება.			
გამგე, იგივე მილიციის უფროსი	1	1	1
საქმისმწარმოებელი	1	1	1
სამხედრო მაგიდის გამგე	1	1	1
	3	3	3
საერთო განყოფილება.			
გამგე (იგივე პროზიდიუმის მდივანი შეთავსებით)	—	—	—
საქმისმწარმოებელი	1	1	2
მანქანით გადამწერი	1	2	2
შიკრიკი-დამლაგებელი	1	1	2
შოფერი ან მეჯინიბე	1	1	1
	4	5	7
მუშათა და გლეხთა ინსპექცია	1	2	2
	1	2	2
ს უ ლ	29	34	38

შენიშვნა 1. საგემო სასტატისტიკო ნაწილისათვის ხელმძღვანელობის გაწევა დაეკისრება სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს.

შენიშვნა 2. საადგილმამულო განყოფილების და საფინანსო განყოფილების გამგეები იმავე დროს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეები არიან.

შენიშვნა 3. ადგილობრივი მეურნეობის განყოფილების გამგის თანამდებობა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკის სათანადო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით შეიძლება დაწესებულ იქნეს იმ შემთხვევაში, უკეთუ რაიონში განვითარებული კომუნალური მეურნეობაა.

შენიშვნა 4. ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების გამაუმჯობესებელი კომიტეტის მდივნის თანამდებობა შეიძლება დაწესებულ იქნეს მხოლოდ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების დადგენილებით, უკუთუ ეს აუცილებელი იქნება ქალთა შორის ნორმალური მუშაობის უზრუნველსაყოფად.

ე) სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების მომუშავეთა ჯამაგირების განაკვეთები.

12. დაწესებულ იქნეს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების მომუშავეთა ჯამაგირების შემდეგი განაკვეთები რაიონების კატეგორიების მიხედვით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

	I კატ. რაიონები	II კატ. რაიონები	III კატ. რაიონები
თავმჯდომარე	160 მან.	180 მან.	200 მან.
მდივანი შეთავსებით	125	140	170
საბჭოთა მშენებლობისა და მასსიური მუშაობის ინსტრუქტორი	110	125	140
ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების გამაუმჯობესებელი კომიტეტის მდივანი	110	125	140
ვაჭრობის ინსპექტორი	125	140	170
საგეგმო-სასტატისტიკო ნაწილი.			
ეკონომისტი-მოგეგმე	170	170	170
სტატისტიკოსი	55	65	70
საადგილმამულო განყოფილება.			
გ ა მ გ ე	150	165	180
აგრონომი	200	200	200
მ დ ი ვ ა ნ ი	—	60	60
მიწათმომწყობი	175	175	175
ვეტერინარი-ექიმი	200	200	200
საფინანსო განყოფილება.			
გ ა მ გ ე	150	165	180
ფინანსთა ინსპექტორი	110	125	140
ფინანსთა აგენტი	—	60	60
ბუღჰალტერი	120	125	135
მოანგარიშე	—	—	60
ადგილობრივი ბიუჯეტის ინსტრუქტორი	110	125	140
სახელმწიფო დაზღვევის ინსტრუქტორი	110	125	140
ადგილობრივი მეურნეობის განყოფილება.			
გ ა მ გ ე	—	—	180
ტეხნიკოსი	175	175	175
საგზაო მშენებლობის ტეხნიკოსი	—	175	175
სოციალურ-კულტურული განყოფილება.			
გამგე, (იგივე სახალხო განათლებისა და სოციალური აღზრდის ინსპექტორი)	150	165	180
სახალხო განათლებისა და სოციალური აღზრდის ინსპექტორი	115	130	150
ჯანმრთელობის ინსპექტორი (უ ქ ი მ ი)	185	185	185
შრომისა და სოც. უზრუნველყოფის ინსპექტორი	115	130	150
ადმინისტრატიული განყოფილება.			
გამგე (იგივე მილიციის უფროსი)	125	140	170
საქმისმწარმოებელი	55	60	60
სამხედრო მაგიდის გამგე	75	85	100

	I კატ. რაიონები	II კატ. რაიონები	III კატ. რაიონები
საერთო განყოფილება.			
გამგე (იგივე პრეზიდიუმის მდივანი შეთავსებით)	—	—	—
საქმისმწარმოებელი	55	60	60
მანქანით გადამწერი	55	60	60
შიკრიკი დამლაგებელი	30	35	40
მ ო ფ ე რ ი	—	150	150
მეეტლე-მეჯინიბე	40	—	—
მუშათა და გლეხთა ინსპექცია.			
მუშათა და გლეხთა ინსპექციის თავჯდომარე ან რწმუნებული	160	180	200
ინსპექტორი	—	125	140

ვ. სასოფლო საბჭოების ბიუჯეტი, შტატი და ჯამაგირი.

13. შემოღებულ იქნეს 1930-31 საბიუჯეტო წლიდან დამოუკიდებელი ბიუჯეტი სასოფლო საბჭოებში: საქართველოს სსრ-ში—ყველა სასოფლო საბჭოში, გარდა განსაკუთრებით ჩამორჩენილი საბჭოებისა, რომელთა სიასაც დაადგენს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი; სომხეთის სსრ-ში—სასოფლო საბჭოებში, რომელთა რიცხვიც სასოფლო საბჭოების საერთო რაოდენობის 60%-ს მაინც უნდა უფრიდეს და აზერბაიჯანის სსრ-ში—სასოფლო საბჭოებში, რომელთა რიცხვიც სასოფლო საბჭოების საერთო რაოდენობის 30%-ს მაინც უნდა უფრიდეს.

14. დაწესებულ იქნეს სასოფლო საბჭოებისათვის შემდეგი შტატები:

ა) იმ სასოფლო საბჭოებისათვის, რომელთაც დამოუკიდებელი ბიუჯეტი აქვთ, სამი საშტატო ერთეული: 1) თავმჯდომარე, 2) მდივანი და 3) მოანგარიშე;

ბ) იმ სასოფლო საბჭოებისათვის, რომელთაც დამოუკიდებელი ბიუჯეტი არა აქვთ, ორი საშტატო ერთეული: 1) თავმჯდომარე და 2) მდივანი.

15. დაწესებულ იქნეს სასოფლო საბჭოების მომუშავეთათვის ჯამაგირების შემდეგი განაკვეთები:

თავმჯდომარე	60 მან.
მდივანი	50 მან.
მოანგარიშე	60 მან.

16. წინადადება მიეცეს სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს განიხილოს საკითხი სასოფლო საბჭოების დაპატარავების შესახებ და სამი თვის ვადაზე წარუდგინოს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს პროექტი პრაქტიკული ღონისძიებებისა აღნიშნული საკითხის თაობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების საორგანიზაციო განყოფილებების აპარატი.

17. რადგანაც ოლქების ლიკვიდაცია და მთავრობის უმაღლესი ორგანოების უშუალო კავშირის დამყარება რაიონებთან მეტად ართულებს რაიონებისათვის საორგანიზაციო-მასსიური მომსახურეობის გაწევის ამოცანას, საჭიროდ იქნეს ცნობილი როგორც ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, ისე ა/აკსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების საორგანიზაციო განყოფილებების აპარატების ყოველგვარად გაძლიერება და განმტკიცება.

ამ მიზნით დაწესებულ იქნეს აღნიშნილი აპარატებისათვის შემდეგი შტატი:

ა) ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებისათვის:

1) საორგანიზაციო განყოფილების გამგე	1
2) საორგ. განყ. გამგის მოადგ., იგივე ინსტრუქტორი .	1
3) ინფორმატორი	1
4) კადრების ინსტრუქტორი	1
5) ინსტრუქტორი	5
6) მდივანი	1
ს უ ლ	10

ბ) აკსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების საორგანიზაციო განყოფილებებისათვის:

	საქართველოს სსრ.	აზერბაიჯანის სსრ.	სომხეთის სსრ.
1) საორგ. განყ. გამგე	1	1	1
2) საორგ. განყ. გამგის მოადგილე, იგივე ინსტრუქტორი	1	1	1
3) ინფორმატორი	2	2	1
4) კადრების ინსტრუქტორი	1	1	1
5) ინსტრუქტორი	6	7	3
6) სტატისტიკოსი	1	1	1
7) კონსულტანტი	1	1	—
8) მდივანი	1	1	1
ს უ ლ . . .	14	15	9

18. წინადადება მიეცეს აკსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს დაამთავრონ ოლქების ლიკვიდაცია ამა დადგენილების საფუძველზე არა უგვიანეს: საქართველოს სსრ-ში და სომხეთის სსრ-ში—1930 წ. სექტემბრის 15-ისა და აზერბაიჯანის სსრ-ში—1930 წ. ოქტომბრის 1-ისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

19. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს 10 დღის ვადაზე შეუთანხმონ თავიანთი კანონმდებლობა ამა დადგენილებას და იმავე ვადაზე წარუდგინონ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს მოხსენება მათ მიერ ოლქების ლიკვიდაციისა და რაიონების ორგანიზაციისათვის განხორციელებულ ღონისძიებათა შესახებ.

20. მეთვალყურეობის გაწევა ამა დადგენილების განხორციელებისათვის დაეკისროს ამიერკავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. აგვიტოს 28.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 233-ში 1930 წ. აგვისტოს 30-ს.

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

№ 274.

179. 1930-31 წელს წიწიბოს (წიფლის ნაყოფის) შეგროვების და დამზადების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. რადგანაც მცენარეეულობის ზეთის ბაზარზე გართულებული მდგომარეობაა და ამასთან დაკავშირებით აუცილებელია გამოინახოს საზეთე ნედლეულის ახალი წყაროები,—საჭიროდ იქნეს ცნობილი 1930-30 წელს ა/კსფსრ-ის ტყეებში წიწიბოს შეგროვებისა და დამზადების ორგანიზაცია.

2. წიწიბოს შეგროვების და დამზადების რაიონებად მიმდინარე წლისათვის დაწესებულ იქნეს შემდეგი სატყეოები, სადაც ნაყოფ-მსხმოიარობა საშუალოზე მეტია (წიფლის ხის საერთო ფართობით—260.984 ჰექტ):

საქართველოს სსრ-ში	აზერბაიჯანის სსრ-ში	სომხეთის სსრ-ში
ბორჯომ-ახალდაბა-ბაკურიანის	თაუზის	ლენინაკანის
გარე-კახეთის	ქედაბეგის	ლორის
აღბულახ-მანგლისის	ხალთანის	ყოთაკენდის
ბორჩალოს	ყუბის	შამშადინის
თიანეთის	შემახის	ყარაქლისის
ჭიათურის	განჯის	ახტალის
სენაკის	აჯიკენდის	იჯევანის
ახმეტის	აკერაბეთის	

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. რადგანაც აღნიშნულ რაიონებში მაღალი და დაქანებული ფერდობებია ტ რადგანაც ეს რაიონები შორსაა და ნაკლებ დასახლებული, რის გამოც წიფლის ხის 50%-ზე მეტი წიწიბოს შეგროვებისა და დამზადებისათვის მიუწვდენელი ხდება, ხოლო დანარჩენი ფართობიდან დამზადების საწარმოებლად მიმდინარე წელს შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ერთი ნაწილი, დაწესდეს ა/კსფსრ-ში წიწიბოს დამზადების მტკიცე გეგმა 1930-31 წლისათვის 12.000 ტონნის რაოდენობით (აზერბაიჯანის სსრ-ში 3.000 ტონნა, სომხეთის სსრ-ში—3.600 ტონა და საქართველოს სსრ-ში—5.400 ტონნა), იმ ანგარიშით, რომ აგვისტოს 22-სათვის გეგმა გაზუსტებულ იქნეს ახალი სატყეოების გამოკვლევის საფუძველზე.

4. წიწიბოს ძირითად დამზადებელად ცნობილ იქნეს ზეთსახდელი და მარგარინის მრეწველობის ამიერკავკასიის სახელმწიფო ტრესტი და უფლება მიეცეს მას უშუალოდ მოაწესრიგოს წიწიბოს დამზადებისა და ჩაბარების ფასები რაიონების მიხედვით.

5. ამიერკავკასიის ტყეებში წიწიბოს შეგროვებისა და დამზადების ორგანიზაცია დაეკისროს ზეთსახდელი და მარგარინის მრეწველობის ამიერკავკასიის სახელმწიფო ტრესტის ამიერკავკასიის კონტორას; ამ უკანასკნელმა მე-2 მუხლში ჩამოთვლილ ყველა რაიონში უნდა იქონიოს თავისი დამმზადებელი პუნქტები, რომელთა მოწყობაც უნდა დამთავრდეს 1930 წლის აგვისტოს 20-სათვის.

6. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს დ ავალონ ხელისუფლების ყველა ადგილობრივ ორგანოს, რათა მათ ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ ზეთსახდელი და მარგარინის მრეწველობის ამიერკავკასიის სახელმწიფო ტრესტის ამიერკავკასიის კონტორას წიწიბოს შეგროვებისა და დამზადების ორგანიზაციის საქმეში.

7. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს უზრუნველჰყ ონ, რათა ზეთსახდელი და მარგარინის მრეწველობის ამიერკავკასიის სახელმწიფო ტრესტის ამიერკავკასიის კონტორას ჰქონდეს შესაძლებლობა .წარმატებით ჩაატაროს დამზადება, რისთვისაც მისცენ მტკიცე დირექტივები ყველა სატყეოს—წიწიბოს შემგროვებელთა ტყეებში დაუბრკოლებლად შეშვებისა და აგრეთვე დამხადების საქმეში სატყეოების აპარატის აქტიური მონაწილეობის შესახებ, შემგროვებელთა არტელების ორგანიზაციით და მათი მუშაობისათვის ხელმძღვანელობის გაწევით,—ზეთსახდელი და მარგარინის მრეწველობის ამიერკავკასიის სახელმწიფო ტრესტის ხარჯით,—რის შესახებაც ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებმა ტ ზეთსახდელი და მარგარინის მრეწველობის ამიერკავკასიის სახელმწიფო ტრესტის ამიერკავკასიის კონტორამ უნდა დასდონ სათანადო ხელშეკრულებანი.

8. მე-2 მუხლში აღნიშნულ ყველა სატყეოში გამოყოფილ იქნეს სასინჯი ფართობი უფრო მსხმოიარე ნაკვეთებზე არა ნაკლებ სამი ჰექტარისა (სულ კი არა ნაკლებ 72 ჰექტ.), და გაიწმინდოს ეს ფართობი შამბისა და ნაყარი ტო-

ტებისაგან, რათა ამით გაადვილდეს წიწიბოს შეგროვება და უკეთ იქნეს შესწავლილი ნაყოფ-მსხმოიარობის ოდენობა.

გაწმენდის წესს ზეთსახდელი და მარგარინის მრეწველობის ამიერკავკასიის სახელმწიფო ტრესტი შეუთანხმებს სატყეოებს.

გაწმენდის ხარჯი მიეწერება ზეთსახდელი და მარგარინის მრეწველობის ამიერკავკასიის სახელმწიფო ტრესტს ვარაუდით 25.000 მანეთამდე.

9. დამზადების უფრო გაფართოოებისა და მისი ტემპის გაძლიერების მიზნით დაეევალოს სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა რესპუბლიკანური კავშირების ამიერკავკასიის კავშირს, სამომხმარებლო კოოპერატივების ამიერკავკასიის კავშირს, ამიერკავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან არსებულ მეხილეობა-მებოსტნეობის სადარგო შენაერთს, მონადირეთა კავშირს, სარეწაო კოოპერაციას, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ინვალიდთა კოოპერატიულ კავშირებს და ყველა სხვა კოოპერატიულ ორგანიზაციას, რომელსაც რაიონში თავისი აპარატი ჰყავს, აქტიური მონაწილეობა მიიღონ წიწიბოს შეგროვებასა და დამზადებაში, რის შესახებაც ზემოადნიშნული კოოპერატიული ორგანიზაციები და ზეთსახდელი და მარგარინის მრეწველობის ამიერკავკასიის სახელმწიფო ტრესტის ამიერკავკასიის კონტორა დასდებენ სათანადო ხელშეკრულებებს.

10. წინადადება მიეცეს ზეთსახდელი და მარგარინის მრეწველობის ამიერკავკასიის სახელმწიფო ტრესტის ამიერკავკასიის კონტორას ფართოდ ჩაიბას,—ხელშეკრულების საფუძველზე,—წიწიბოს შეგროვებისა და დამზადების ორგანიზაციის საქმეში კომკავშირისა და პიონერების ორგანიზაციები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა აქტივი და სოფლის მოსახლეობის ღარიბი და საშუალო ჯგუფების განსაზოგადოებული და ინდივიდუალური სექტორები.

11. რადგანაც წიწიბოს შეგროვება და დამზადება მიმდინარე წელს, მოსახლეობაში სათანადო გამოცდილების უქონლობის გამო, ერთგვარ სიძნელეს წარმოადგენს, საჭიროდ იქნეს ცნობილი ადგილობრივ არტელების მოწყობა და დამზადებაში ინდივიდუალური მეურნეობათა და პირთა ჩაბმა.

12. უფლება მიეცეს ზეთსახდელი და მარგარინის მრეწველობის ამიერკავკასიის სახელმწიფო ტრესტის ამიერკავკასიის კონტორას თავის სარაიონო რწმუნებულთა ქსელის მეშვეობით, მოაწესრიგოს წიწიბოს ყველა დამზადების მუშაობა და ოპერატიული ხელმძღვანელობა გაუწიოს ამ მუშაობას.

13. უფლება მიეცეს ზეთსახდელი და მარგარინის მრეწველობის ამიერკავკასიის სახელმწიფო ტრესტის ამიერკავკასიის კონტორას შეაგროვოს და დამზადოს წიწიბო ყველა—გამოუნაკლისად—სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეში, ვის გამგებლობაშიაც უნდა იყოს ეს ტყე.

14. აიკრძალოს წიწიბოს დამზადების რაიონებში ღორებისა და ოთხფეხი საქონლის შეშვება 1930 წლის სექტემბრის 1-დან დეკემბრის 1-მდე.

15. წინადადება მიეცეს ზეთსახდელი და მარგარინის მრეწველობის ამიერკავკასიის სახელმწიფო ტრესტის ამიერკავკასიის კონტორას საღი წიწიბოს დამზადებასთან ერთად აწარმოოს დეფექტიური წიწიბოს დამზადებაც ტეხნიკური ზეთის გამოსახდელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

16. დამზადების საქმის წასახალისებლად საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა შემგროვებლებს სასყიდლის ანგარიშში მიეცეს სასურსათო და სამრეწველო საქონელი 20%-ის რაოდენობით, ე. ი. ერთი მანეთისა მათ მიერ ჩაბარებულ თვითეულ ფუთ წიწიბოზე, რისთვისაც გადაიკეს ზეთსახდელი და მარგარინის მრეწველობის ამიერკავკასიის სახელმწიფო ტრესტის ამიერკავკასიის კონტორის განკარგულებაში სათანადო თანხად ღირებული სასურსათო და სამრეწველო საქონელი.

17. დაეკისროს ზეთსახდელი და მარგარინის მრეწველობის ამიერკავკასიის სახელმწიფო ტრესტს პასუხისმგებლობა დამზადებული წიწიბოს გადამუშავების ყველა საკითხის მომზადებისათვის.

18. განთავისუფლებულ იქნენ 1930-31 წელს წიწიბოს შემგროვებელნი და დამმზადებელნი წიწიბოს შეგროვებასა და დამზადებასთან დაკავშირებული ყველა გამოსაღებისა და გადასახადისაგან.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე მ. ეგიაზარიანი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა
მმართველის თანამდებ. დრ. აღმასრულებელი ა. ბანოვიჩი.

1930 წ. აგვისტოს 25.
ტფილისი—სასახლე.

№ 275.

180. ფოთოლ-თამბაქოს და წეკოს ნედლეულის ყიდვა-გაყიდვის მოწესრიგებისა, 1930 წლის მოსავლის თამბაქოს ვადამდე დამზადებისა და აგრეთვე თამბაქოს ადგილზე დარჩენის შემცირების ღონისძიებათა და ფოთოლ-თამბაქოს და წეკოს ნედლეულის ფარულად გაყიდვასთან ბრძოლის ღონისძიებათა გაძლიერების შესახებ.

რადგანაც საჭიროა, რომ განხორციელებულ იქნეს ნედლეულით თამბაქოს მრეწველობის მომარაგება და ფოთოლ და ნაფშვნეტი თამბაქოს და წეკოს ნედლეულის ფარულად გაყიდვასთან ბრძოლის ღონისძიებათა გაძლიერება—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მიენდოს ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს:

ა) წინადადება მისცენ ადგილობრივ ორგანოებს, რათა მათ ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ დამმზადებელ ორგანიზაციებს ყვითელი ფოთოლ-თამბაქოს ვადამდე დამზადების საქმეში და აგრეთვე უზრუნველჰყონ დამზადებული თამბაქოს ნედლეულის თავის დროზე გაგზავნა, „სოიუზტაბაკ“-ის დაკვეთებისამებრ, სატრანსპორტო საშუალებით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) წინადადება მისცენ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისა და სპეციალური კოოპერაციის სისტემის რესპუბლიკანურ კავშირებს, რათა მათ დაიჭარონ თამბაქოს ვადამდე დამზადების კამპანია, აცნობონ პლანტატორებს ყველა შეღავათის შესახებ, რაც მათ ენიშებათ თამბაქოს ვადამდე დამუშავებისა და ჩაბარებისათვის, და ამავე დროს გაავლიერონ ადგილობრივ ინსტრუქტორთა პერსონალი თამბაქოს ვადამდე შეკერის საქმისათვის, ჩაატარონ ფართო ახსნა-განმარტებითი კამპანია საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების სისწორით აღსრულებისა და იმ კონტრაქტანტების პასუხისმგებლობის წესების შესახებ, რომელნიც თესვისა და მთელი პროდუქციის ჩაბარების თაობაზე დადებულ ხელშეკრულებას არ შეასრულებენ, და მისცენ პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით საკონტრაქტაციო ხელშეკრულების ბოროტი განზრახვით დამოლვევენ;

გ) წინადადება მისცენ სარაიონო აღმსრულებელ კომიტეტებს, სასოფლო საბჭოებს და მილიციის ორგანოებს, რათა მათ მტკიცედ ადევნონ თვალყური ფოთოლ და ნაფშვნეტი თამბაქოს მოძრაობას, მისი გაყიდვის აღკვეთას და მისცენ პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით როგორც გამყიდველნი, ისე მყიდველნი;

დ) წინადადება მისცენ სასამართლოს ორგანოებს, რათა მათ საჩვენებელი პროცესების წესით ჩაატარონ იმ პირთა საქმეები, რომელნიც ფოთოლ-თამბაქოს გაყიდვასა და ყიდვისათვის მიეცემულ იქნებიან პასუხისგებაში ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების სათანადო მუხლების თანახმად, რა მუხლებითაც გათვალისწინებულია საკაციზო წესების ან განსაკუთრებული საპატენტო გამოსაღების წესების დარღვევა.

2. დაეევალოს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს:

ა) გამოჰყოს თამბაქოს ვადამდე დამზადებისათვის სამრეწველო საქონლის სპეციალური ფონდი და იხმაროს სათანადო ღონისძიება, რაოა ეს საქონელი დაუყოვნებლივ იქნეს გაგზავნილი ადგილობრივ;

ბ) იხმაროს კონკრეტული ღონისძიებანი, რათა მეთამბაქოობის რაიონები შომარაგებულ იქნენ საკმაო რაოდენობის იაფი თამბაქოს ნაკეთობით;

გ) გაავლიეროს მეთამბაქოობის რაიონებში პურის პროდუქტების შეზიდვა.

3. დადასტურებულ იქნეს ა/კსფსრ-ის თამბაქოს მრეწველობის კონცენტრაციის შესახებ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების სისწორით აღსრულების აუცილებლობა.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ეგიაზარიანი.**

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭოს საქმეთა
მმართველის თანამდ. დრ. აღმას. **ა. ბანოვიჩი.**

1930 წ. აგვისტოს 28.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 234 №-ში 1930 წ. აგვისტოს 31.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინსტრუქცია

ა/კსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოსი.

181. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ივლისის 3-ის დადგენილებით დამტკიცებული შრომის საგზაო ბეგარის დებულების შეფარდების წესის შესახებ.

(გამოცემულია „შრომის საგზაო ბეგარის დებულების დამტკიცების და სამოქმედოდ შემოღების შესახებ“ გამოქვეყნებული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ივლისის 3-ის დადგენილების მე-5 მუხლის თანახმად—ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-13 №-ი, მუხ. 148).

I. საგზაო სამუშაოთა ორგანიზაცია შრომის საგზაო ბეგარის შეფარდებით.

1. შრომის საგზაო ბეგარის წესით შესასრულებელი საგზაო სამუშაოები მთლად რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზათა მშენებლობის ნაწილია და იგი შესრულდება ყოველწლიურად შედგენილი საოპერაციო გეგმების თანახმად, რაც დაკავშირებულ უნდა იქნეს რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზათა მშენებლობის საერთო საპერსპექტივო და წლიურ გეგმებთან.

ამის გამო, ყოველ წელს, წინამდებარე სამეურნეო წლის რესპუბლიკანური და ადგილობრივი ბიუჯეტების საკონტროლო ციფრების განხილვის დროს, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველები—რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზებისათვის, ხოლო სათანადო აღმასრულებელი კომიტეტები—ადგილობრივი მნიშვნელობის გზებისათვის—განსაზღვრავენ, რა მოცულობით უნდა იქნეს ეს საგზაო სამუშაოები უზრუნველყოფილი მუშა-ძალით და ჭაპანზიდვის ტრანსპორტით შრომის საგზაო ბეგარის წესისამებრ, რისთვისაც ვარაუდში უნდა მიიღონ რესპუბლიკანური და ადგილობრივი ბიუჯეტებით გადასადებად განზრახული სახსარი გზებისა და საგზაო ნაგებობების ასაშენებლად, აღსადგენად, სარემონტოდ და შესანახად.

2. შრომის საგზაო ბეგარის შეფარდებით განსახორციელებელ საგზაო სამუშაოთა წლიური რაოდენობის გამოსარკვევად ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების გზატკეცილებისა, ყამირგზებისს და საავტომობილო ტრანსპორტის სამართველოებმა და ადგალობრივმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა ვარაუდში უნდა მიიღონ:

ა) სამუშაო დღეებისა და დღე-საზიდავების ის ზღვრული რიცხვი, რაც ნებადართულია შრომის საგზაო ბეგარის დებულებით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) შრომის საგზაო ბეგარავალდებული მოსახლეობისა და ამ ბეგარით გასაწევები მუშა საქონლისა და ჰაპანზიდვის ტრანსპორტის საშუალებათა რაოდენობა, რაც, დებულების 23 მუხლის წესისამებრ, მიწერილია ცალკეულ საგზაო უბნებზე;

გ) შრომის საგზაო ბეგარის შეფარდებით შესასრულებელ სამუშაოთა ის პროკენტი, რაც განზრახულია სარეზერვოდ ბუნების სტიქიური მოვლენით გზების დაზიანებასთან დაკავშირებული გაუთვალისწინებელი სამუშაოებისათვის (დებულების 25 მუხლის შენიშვნა);

დ) სამუშაოთა ის რაოდენობა, რაც ნაკისრები აქვს მოსახლეობას შრომის საგზაო ბეგარის წესისაებრ საერთო-საკავშირო მნიშვნელობის გზების გასაყვანად. შესანახად და სარემონტოდ (დებულების 1-ლი მუხლის შენიშვნა) და თვითდაბეგვრის წესით.

3. 1-ლ და მე 2 მუხლებში აღნიშნული ვარაუდის საფუძველზე ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საკონმობილო ტრანსპორტის სამმართველოები და ადგილობრივი საგზაო ორგანოები შეადგენდნენ, კუთვნილებისამებრ, გზათა მშენებლობის საერთო ოპერატიულ გეგმებთან ერთად, ამ გეგმების დანართების სახით, საგზაო სამუშაოთა წლიურ გეგმებს, რაც განხორციელებულ უნდა იქნეს შრომის საგზაო ბეგარის შეფარდებით.

ეს გეგმები უნდა შეიცავდეს:

ა) საგზაო სამუშაოთა სიას, ამ სამუშაოთა წარმოების ადგილს, ხასიათს და მოცულობას;

ბ) საჭირო საშენი მასალისა, ინვენტარისა და იარაღის ასორტიმენტსა და რაოდენობას;

გ) სათანადო ტერიტორიაზე საშენი მასალის დამზადებათა მოცულობას;

დ) სამუშაოთა წარმოებისა და მასალის დამზადებისათვის განზრახულ დროს;

ე) სამუშაო დღეებისა და დღე-საზიდავების საერთო რიცხვს თა მათ განაწილებას ცალკეულ საგზაო უბნებზე;

ვ) აღნიშნული სამუშაოებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად საჭირო სატეხნიკო პერსონალის რაოდენობას;

ზ) დასაქირავებლად საჭირო კვალიფიციური და არაკვალიფიციური მუშადალის რაოდენობას.

4. მე-3 მუხლში აღნიშნული გეგმები დაკავშირებულ უნდა იქნეს საგზაო სამუშაოების სათანადო წლიურ საოპერაციო გეგმებთან, კერძოდ:

ა) საგზაო სამუშაოების დაფინანსების გეგმასთან (რესპუბლიკანური ან ადგილობრივი ბიუჯეტების ასიგნების ხარჯზე, რესპუბლიკანური და ადგილობრივი საგზაო ფონდების ხარჯზე, იმ თანხების ხარჯზე, რაც შემოვა სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციებისაგან „სსრკ-ის საგზაო მეურნეობისა და საავტომობილო სამმის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ნოემბრის 28-ის დადგენილების მე-13 მუხლის წესისამებრ, და სხვა წყაროებიდან);

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) სატეხნიკო პერსონალის განაწილების გეგმასთან;

გ) საგზაო მანქანების და ჟურვების გამოყენების გეგმასთან;

დ) საშენი მასალის დამზადების და მომარაგების გეგმასთან.

5. მე-3 მუხლში აღნიშნულ გეგმებს ადგილობრივი საგზაო ორგანოები და რესპუბლიკანური გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველობები (კუთვნილებისამებრ) შეიტანენ განსახილველად სათანადო ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებსა და სოფლის საბჭოებში და, მათი დასკვნებითურ, ეს გეგმები, გზათა მშენებლობის საერთო გეგმებთან ერთად, სათანადო საგეგმო ორგანოების მეშვეობით, წარიდგინება არსებული საერთო წესისამებრ.

6. შრომის საგზაო ბეგარის გამოყენებით განსახორციელებელ საგზაო სამუშაოთა წლიური საოპერაციო გეგმების დამტკიცების შემდეგ, რესპუბლიკანური გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველობები, სათანადო ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებთან შეთანხმებით, რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზებისათვის, ხოლო ადგილობრივი საგზაო ორგანოები—ადგილობრივი მნიშვნელობის გზებისათვის—შეადგენენ სამუშაოთა საკალენდრო განრიგებებს თვითეული საგზაო უბნის მიხედვით, რომელიც მიმაგრებულია ამა თუ იმ ცალკეულ პუნქტზე მოსახლეობის მიერ შრომის საგზაო ბეგარის წესით მომსახურების გასაწევად.

აღნიშნული საკალენდრო განრიგებანი დაუყოვნებლივ ეცნობებათ სათანადო სასოფლო საბჭოებს, რათა მათ მიიღონ საგზაო სამუშაოების განსახორციელებლად საჭირო ყველა სამომზადებლო ღონისძიება.

7. საგზაო სამუშაოების საკალენდრო განრიგებათა შესაბამისად სასოფლო საბჭოები, სამუშაოების მწარმოებელთა განწესების თანახმად, გზავნიან, რიგობის წესისამებრ, შრომის საგზაო ბეგარავალდებულ პირთ სათანადო ჰაპანზიდვის ტრანსპორტით და ინვენტარით.

8. საგზაო ორგანოები მოვალენი არიან უზრუნველჰყონ წლიური საოპერაციო გეგმით გათვალისწინებული სამუშაოები, საკალენდრო განრიგებებში განსაზღვრულ ვადაზე, საჭირო ტეხნიკური დახმარებით (გეგმებით, ტეხნიკური ზედამხედველობით, ქვალიფიციური მუშა-ძალით, დაქირავებული დამატებითი არაკვალიფიციური მუშა-ძალით, საგზაო ჟურვებით, ინვენტარით და იარაღით) და მასალით იმ სასხარის ხარჯზე, რაც ასიგნებულია სათანადო ხარჯთაღრიცხვებით რესპუბლიკანური და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან, საგზაო ფონდებიდან, შრომის საგზაო ბეგარის შეცვლით შეგროვილი თანხებიდან და სხვ.

II. საგზაო მუშაობაში პირადი შრომით მონაწილეობისათვის და ჰაპანზიდვის საშუალებათა გაცემისათვის მოსახლეობის გაწვევის წესის შესახებ.

9. შრომის საგზაო ბეგარის წესით შეიძლება შესრულებულ იქნეს მხოლოდ შემდეგი სამუშაოები, რაც არ საჭიროებს ქვალიფიციურ მუშა-ძალის გამოყენებას:

ა) ყოველგვარი მიწის სამუშაო (ყრილის აღმართვა, ჭრილის ამოღება, არხის გაჭრა და გასუფთავება, ზეკისა, ჩამონაყარისა და გამონაყარის გაწმენდა, ხიდის და მილის ხერეტის გაწმენდა, ნაგებობათა ქვეშ საძირკვლის გამოთხრა, ბუჩჯების და კედლების ამოვსება, ლიანდაგის დაგებმა და სხვ.);

ბ) ღორღისა, ხრეშისა, ხრეშ-სილისა და გამონაცხავის მიმობნევა ერთობილი მოყრისა და საორმო რემონტის დროს;

გ) თოვლის ნამქერის გაწმენდა, ზამთარში გზების მოვლა თოვლის გაწმენდით, ყინულის მტვრევით და სხვ.;

დ) ღორღისა და ხრეშის გაცხავება, ხრეშისა და ქვიშის გარეცხვა და სხვ.;

ე) მასალის მიტანა ყოველგვარი სამუშაოსათვის: სადურგლო, ქვისა, ფიჩხ-კონისა და სხვ.;

ვ) ქვის ჩაყრა ხელოვნურ ნაგებობათა და რკინის გზის ლიანდაგის წარეცხვის სალიკვიდაციოდ და სხვ.;

ზ) ყოველგვარი მასალის მიზიდვა (ქვისა, ხრეშისა, ღორღისა, ქვიშისა, ხეტყისა, ფიჩხ-კონისა, რკინისა, ცემენტისა, აგურისა, კირისა); ფურაჟისა, პროვიანტისა ინვენტარისა და ინსტრუმენტების მიზიდვა;

თ) ფიჩხის დამზადება;

ი) ხრეშისა, ქვიშისა, თიხისა და სხვა მასალის დამზადება კარიერებში, რიყეზე, ჩამონაყარზე და სხვ.

10. არაკვალიფიციური შრომის კვალიფიციური შრომით შეცვლა (ე. ი. ისეთ სამუშაოზე გაწვევა, რაც წინა ნუსხაში აღნიშნული არ არის) შრომის საგზაო ბეგარავალდებულ პირთათვის შეუძლიან საგზაო სამუშაოთა მწარმოებელს, სათანადო სასოფლო საბჭოს თავჯდომარესთან შეთანხმებით, უკეთუ ამაზე თანხმობას განაცხადებენ თვით ბეგარავალდებული პირნი.

სავალდებულო დღეთა რაოდენობის გამოანგარიშება (საგაკვეთილო დებულების ნორმების მიხედვით) აღნიშნულ პირთათვის უნდა სწარმოებდეს სრული შესაბამისობით შრომის საგზაო ბეგარის დებულების მე-2 მუხ. შენიშვნაში აღნიშნულ წესთან.

11. შრომის საგზაო ბეგარაზე, ამ ბეგარის დებულების მე-4 და 5 მუხლების თანახმად, გაიწვევიან მხოლოდ იმ ადგილის მუდმივი მცხოვრები მოქალაქენი, რომელიც მომსახურეობის გასაწევად მიმაგრებულია უწყებულ საგზაო უბანზე, ან ის მოქალაქენი, რომელნიც აღნიშნულ ადგილთან მუდმივად დაკავშირებულ არიან მეურნეობით, სამრეწველო, საშინამრეწველო ან სავაჭრო საწარმოთი, შენობით თუ სხვა ქონებით.

ამასთანავე, დებულების მე-5 მუხლის „ვ“ და „დ“ პუნქტებში აღნიშნული პირების გარდა, რომელთაც პირადი შრომით მონაწილეობა საგზაო მუშაობაში აუცილებლად ფულადი შენატანით უნდა შეეცვალოთ, —ისეთი პირადი შრომით მონაწილეობის ფულადი შენატანით შეცვლა საველდებულოა აგრეთვე იმ პირებისათვისაც, რომელნიც მუდმივ არა ცხოვრობენ შრომის საგზაო ბეგარის შეფარდების რაიონში.

შენიშვნა. ხოლო ამა მუხლის მეორე ნაწილში აღნიშნული პირნი მოკლებულ არ არიან იმ უფლებას, რომ, ფულადი შენატანის ნაცვლად, შესასრულონ მათთვის დაკისრებული ბეგარა და პირადი შრომით მონაწილეობა მიიღონ საგზაო მუშაობაში.

12. ორივე სახის შრომის საგზაო ბეგარა (პირადი შრომით მონაწილეობა და მუშა-საქონლის დათმობა სატრანსპორტო საშუალებებითურთ) განხორციელდება გადაკვეთილი სამუშაოს შესრულების პრინციპზე, რისთვისაც გადაკვეთილი სამუშაოს მოცულობა გამოანგარიშებულ უნდა იქნეს საგაკვეთილო დებულების ნორმების მიხედვით.

ხოლო, ამასთანავე, გადაკვეთილი სამუშაოს შესრულების დროს ბეგარაზე გაწვეულ პირთა სამუშაო დრო არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ისე, რომ იგი აღემატებოდეს სამუშაო დღის უკიდურეს ნორმებს, რაც დაწესებულია 1929 წ. ივლისიის 11-ის „დროებითი წესებით საგლეხო შრომითს მეურნეობაში დაქირავებული დამხმარე შრომის გამოყენების შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1929 წ. 45 № ი, მუხ. 402); ავრეთვე არ შეიძლება სამუშაოზე გაყვანა სარეკონალესცენტი დღეებსა და არასამუშაო დღეებში.

13. შრომის საგზაო ბეგარაზე გაწვეული პირნი მუშაობის დროს ისაზრდოებენ თავიანთი ხარჯით, ხოლო საგზაო სამუშაოებისათვის დათმობილი მუშა-საქონლის გამოკვება დაკისრებული აქვთ სათანადო მეურნეობათ. მუშაობაზე გაყვანილ პირთათვის სასმელი წყლის მიწოდება შეადგენს იმ ორგანოების მოვალეობას, რომელნიც საგზაო მუშაობას აწარმოებენ.

14. უკეთუ შრომის საგზაო ბეგარავალდებული პირნი, შრომის საგზაო ბეგარის დებულების მე-17 მუხლის შენიშვნის წესისამებრ, განწესებულ იქნებიან ისეთ სამუშაოზე, რაც 8 კილომეტრზე მეტი მანძილით დაშორებულია მათი საცხოვრებელი ადგილიდან, საგზაო ორგანოები მოვალენი არიან მიუჩინონ ბეგარაზე გაყვანილთ ღამის გასატარებლად ვარგისი სადგომები და ავრეთვე მისცენ მათ სურსათის გადასაზიდად საჭირო სატრანსპორტო საშუალებანი. ამით გამოწვეული ხარჯები მიეწერება საგზაო მუშაობის მწარმოებელ ორგანოებს.

15. შრომის საგზაო ბეგარის დებულების მე-17 მუხლში აღნიშნულ მანძილთა გამოანგარიშება სწარმოებს უმოკლესი საქვეითო ან საურმე გზის მიხედვით ბეგარავალდებულ პირთა საცხოვრებელი ან ბეგარავალდებულ მეურნეობათა სამყოფელი ადგილიდან.

16. შრომის საგზაო ბეგარაზე საგზაო მუშაობაში პირადი შრომით მონაწილეობისათვის გაწვეული პირნი არ უნდა იქნენ სოციალური წესით დაზღვეულნი, ხოლო იმავე ბეგარის წესით დათმობილი ქონების (მუშა-საქონელი, სატრანსპორტო საშუალებანი, ინვენტარი) არ უნდა იქნეს სახელმწიფო დაზღვევის წესით დაზღვეული; მაგრამ, ამასთანავე, საგზაო ბეგარის აღსრულების დროს ბეგარაზე გაყვანილი პიროვნებისათვის ან ქონებისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურებულ უნდა იქნეს საერთო წესისამებრ (ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სამოქალაქო სამართალის კოდექსის 403 და 404 მუხლები).

შენიშვნა. ამა მუხლში აღნიშნული მოვალეობით გამოწვეული ხარჯი მიეწერება საგზაო მუშაობის მწარმოებელ ორგანოებს.

17. ვით საერთო წესი, არ შეიძლება მოსახლეობის შრომის საგზაო ბეგარაზე გაწვევა როგორც პირადი შრომით მონაწილეობისათვის საგზაო მუშაობაში, ისე ჭაპანზიდვის ტრანსპორტის გაცემის სახით იმ პერიოდებში, როდესაც მოსახლეობა გართულია სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებით. კერძოდ, ასეთ პერიოდებად ითვლება: ა) გაზაფხულისა და შემოდგომის ხვნა; ბ) თესვა; გ) თიბვა; დ) მოსავლის აღება და სხვ.

III. შრომის საგზაო ბეგარის ნატურალური ფორმის ფულადი შენატანით შეცვლის წესი.

18. შრომის საგზაო ბეგარავალდებული პირი და მეურნეობა (ინდივიდუალური და კოლექტიური), რომელსაც სურს ისარგებლოს დებულების მე-19 მუხლით დადგენილი უფლება საგზაო მუშაობაში პირადი შრომით მონაწილეობის და ჭაპანზიდვის ბეგარის ფულადი შენატანით შეცვლისა, მოვალეა განუცხადოს ეს სათანადო სასოფლო საბჭოს წინასწარვე იმ წესით და იმ ვადაზე, რაც გათვალისწინებულია ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობით.

ამა ინსტრუქციის მე-11 მუხლის მეორე ნაწილში და მის შენიშვნაში აღნიშნულ პირთა გარდა, შრომის საგზაო ბეგარის ფულადი შენატანით შეცვლა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ უწყებულ რაიონში საკმარისი დასაქირავებელი მუშა-ძალია და ჭაპანზიდვის ტრანსპორტის გაქირავების მსურველი, რათა გეგმით დასახული სამუშაოები დაუცადებლად იქნეს შესრულებული.

ასეთი გარამობა დამოწმებულ უნდა იქნეს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობით განსაზღვრული წესისამებრ.

19. შრომის საგზაო ბეგრის შეცვლის ნორმები, რომლის მიხედვითაც გამოანგარიშება მე-18 მუხლში აღნიშნული ფულადი შენატანი და აგრეთვე ჯარიმა სასოფლო საბჭოს განმწესებით განსაზღვრული გაცდენილი სამუშაო დღეებისა და დღე-საზიდავებისათვის (შრომის საგზაო ბეგარის დებულების მე-20 მუხ.),—დაწესდება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობის წესისამებრ.

20. ის სასოფლო-სამეურნეო საწარმოო ამხანაგობა და არტელი, აგრეთვე კერძო სამრეწველო, სავაჭრო და სხვა საწარმო, რომელიც მოქმედობს ისეთ ადგილას, სადაც მოსახლეობა შრომის საგზაო ბეგარავალდებულია, გაიწვევა ამ ბეგარის მხოლოდ იმ ნაწილის შესასრულებლად, რაც მუშა საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებათა დათმობას ეხება, ისიც მუდამ ფულადი შენატანის ფორმით.

ამ ფულადი შენატანის რაოდენობას განსაზღვრავს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი—გზების ტვირთ-დაძაბულობისა, ამ ორგანიზაციათა და საწარმოთა მონაწილეობისა ტვირთ-ბრუნვაში და შრომის საგზაო ბეგრის წესით, წლიური გეგმის თანახმად, სათანადო რაიონისათვის დაკისრებულ სამუშაოთა მოცულობის კეალობაზე.

ამა მუხლში აღნიშნული ესა თუ ის ორგანიზაცია და საწარმო შრომის საგზაო ბეგარის შესრულებისათვის მიწერილი არ უნდა იქნეს განსაზღვრულ უბანზე; ხოლო მის მიერ შეტანილი თანხები ჩაირიცხება სათანადო ორგანოს შემოსავალში აღნიშნული ორგანიზაციის გამგეობის სამყოფელი ადგილისა და საწარმოს მფლობელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (რესპუბლიკანური გზებისათვის—რესპუბლიკანური გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს სპეციალურ სახსარში, ხოლო ადგილობრივი გზებისათვის — სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის შემოსავალში მიზნობრივი სახსარის სახით).

შენიშვნა 1. უკეთუ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული ამხანაგობა და არტელი მონაწილეობას იღებს ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობისა, რემონტისა და შენახვისათვის საჭირო ხარჯებში სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. აგვისტოს 7-ის დადგენილების წესისამებრ (სსრკ კან. კრ. 1929 წ. 50 №-ი, მუხ. 457),—იგი განთავისულდება შრომის საგზაო ბეგარისაგან.

შენიშვნა 2. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ, ამა მუხლის წესისამებრ, განსაზღვრული ფულადი შენატანი არაავითარ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს შრომის საგზაო ბეგარის დებულების მე-16 მუხლით დაწესებულ უკიდურეს რაოდენობას.

21. შრომის საგზაო ბეგარის ნატურალური ფორმის შეცვლის წესით შემოსული თანხები გადახდევინებულ იქნება, შეინახება, აღინუსხება და დაიხარჯება იმ განსაკუთრებული ინსტრუქციის თანახმად, რასაც დაამტკიცებს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

IV. საერთო-საკავშირო გზების უბნებში შრომის საგზაო ბეგარის განხორციელების წესი.

22. შრომის საგზაო ბეგარაზე მოსახლეობა შეიძლება გაწვეულ იქნეს გზების გაყვანისა, შენახვისა და რემონტის სამუშაოთა შესასრულებლად მხოლოდ მაშინ,—უკეთუ თვითეულ შემთხვევაში არსებობს შრომის საგზაო ბეგარის დებულების 1-ლი მუხლის შენიშვნით გათვალისწინებული პირობები და უკეთუ ის სახსარი, რაც გადადებულია აღნიშნული სამუშაოებისათვის უწყებული სამეურნეო წლის ხარჯთაღრიცხვით, საკმარისი არ იქნება.

23. საერთო-საკავშირო მნიშვნელობის გზების უბნებში შრომის საგზაო ბეგარის წესით მოსახლეობის გაწვევის საკითხს გადასწყვეტს სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი:

ა) სასოფლო ყრილობის (მოქალაქეთა საერთო კრების) შუამდგომლობით;

ბ) სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის საკუთარი ინიციატივით;

გ) ხელისუფლების ზემდგომი ორგანოების ინიციატივით;

დ) რესპუბლიკანური გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს ინიციატივით.

24. საერთო-საკავშირო მნიშვნელობის გზების უბნებში სამუშაოების განსახორციელებლად შრომის საგზაო ბეგარაზე მოსახლეობის გაწვევის საკითხის

№ 16 ნაწილი
ბიბლიოთეკა
-482

გადაწყვეტა, როგორც საერთო წესი, შეფარდებულ უნდა იქნეს გზათა მშენებლობის ულიორი საოპერაციო გეგმების შედგენის მომენტისათვის.

შრომის საგზაო ბეგარის გამოყენება საერთო-საკავშირო მნიშვნელობის გზების უბნებში შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ უწყვეტულ სამეურნეო წელს სათანადო რაიონში არ არსებობს დადუდგებული საკირიანი რესაუბლიკანურ და ადგილობრივ გზათა მშენებლობისა და უკეთუ ამ მიზნისათვის შრომის საგზაო ბეგარა გამოყენებულ იქნება შრომის საგზაო ბეგარის დებულებით დაწესებული ზღვრული რაოდენობით.

ამის გამო შრომის საგზაო ბეგარის შეფარდება საერთო-საკავშირო მნიშვნელობის გზების უბნებში მეიდრო ულდა დაკავშირებულ უნდა იქნეს ამა ინსტრუქციის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ სამუშაოთა ულიურ გეგმებთან.

V. ბუნების სტიქიური მოვლენით გამოწვეული დაზიანებისაგან მოძრაობის მოსალოდნელ შეწერებასთან დაკავშირებული სამუშაოების განსახორციელებლად მოსახლეობის შრომის ბეგარაზე გაწვევის წესი.

25. მოსახლეობის შრომის საგზაო ბეგარაზე გაწვევა—ბუნების სტიქიურ მოვლენისაგან დაზიანებული საერთო-საკავშირო, რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საგზაო ნაგებობების სასწრაფოდ აღსადგენად, აგრეთვე სასწრაფო სამუშაოების შესასრულებლად, რათა ასეთი დაზიანება თავიდან აცილებულ იქნეს,—ნოხდება სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისა, თუ სასოფლო საბჭოს დადგენილების თანახმად, იმ ორგანოებისა და პირების შუამდგომლობისამებრ, რომელნიც უშუალოდ განაგებენ ამ გზების უბნებს.

ასეთი დადგენილება გამოიტანება სასწრაფო წესით და დაუყოვნებლივ აღსრულებულ უნდა იქნეს სათანადო სასოფლო საბჭოს მიერ.

26. განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც საკმარისი არ არის გაუთვალისწინებელ სამუშაოთათვის ულიური გეგმით სარეზერვოდ განსაზღვრული სამუშაო დღეები და დღე-საზიდავები (შრომის საგზაო ბეგარის დებულების 25 მუხლის შენიშვნა), შეიძლება მოსახლეობის შრომის საგზაო ბეგარაზე გაწვევა იმ ზღვრული რაოდენობის ზედმეტად, რაც გათვალისწინებულია დებულების მე-6 და 12 მუხლებით და აგრეთვე ბეგარაგავლდებული მოსახლეობის გაწვევისათვის დებულების მე-17 მუხლით დადგენილი რადიუსის გარეშე.

ასეთ შემთხვევაში დებულების მე 6 და 12 მუხლებით გათვალისწინებული ზღვრული რაოდენობის ზედმეტად მოხმარებული სამუშაო დღეები და დღე-საზიდავები ჩაითვლება შემდეგი წლის შრომის საგზაო ბეგარის ანგარიშში.

27. მოსახლეობის შრომის ბეგარაზე გაწვევა ამა ინსტრუქციის 25 მუხლით გათვალისწინებულ სასწრაფო სამუშაოების განსახორციელებლად შეიძლება, უკეთუ საკირო იქნება, ინტენსიურ სასოფლო-სამეურნეო მუშაობის პერიოდშიაც, ხოლო იმ პირობით, რომ, რათა სოფლის მეურნეობისათვის ზიანი არ იქნეს მიყენებული, ოჯახის (მეურნეობის) და კოლექტიური მეურნეობის წევრთა ნაწილი განთავისუფლებულ იქნეს შრომის საგზაო ბეგარაზე გაწვევისაგან.

შეცდომის განსწორება

ა/კსსრ, კან. კრ.	მე-2 მუხლში დაბეჭდილია:	უნდა იყოს
1930 წ. მე-6 №-ი, მუხ. 79.	23 მუხლს დაემატოს ლიტ. „ნ“	23 მუხლს დაემატოს ლიტ. „პ“

საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა
მთავლ. № 2091. ტირაჟი 1400